არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„საზოგადოება ბილიკი“-ს (217889300) წევრთა საერთო კრების ოქმი #1**

14 ივნისი, 2024 წ.

ქ. გორი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„საზოგადოება ბილიკი“**-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო კოდით: *217889300*, იურიდიული მისამართი: *საქართველო, ქ. გორი, რუსთაველის ქ. N19ა*) (შემდგომში "ასოციაცია" ან/და „ორგანიზაცია“) წევრთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართა 2024 წლის 14 ივნისს გორში შემდეგ მისამართზე *რუსთაველის ქ. N19ა, ქ. გორი,* საქართველო.

კრებას ესწრებოდა ასოციაციის წევრები:

1. **მარინე მღებრიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, რუსთაველის ქ. #19, დაბადებული 05.01.1968 წ. პ/ნ 59001011066);
2. **მარიამ გოჩიაშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, ბაქოს ქ. 8/33, დაბადებული 17.07.1971 წ. პ/ნ 59001018510);
3. **მანანა ბერიძე** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, შინდისის გზატკ. #9ა/2, დაბადებული 17.09.1973 წ. პ/ნ 59001029328);
4. **ნინო მღებრიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, რობაქიძის ქ. #21, დაბადებული 19.07.1971 წ. პ/ნ 59001019922);
5. **ლია გორელიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, შინდისის #1ა/41, დაბადებული 03.09.1973 წ. პ/ნ 59001037970);
6. **ხათუნა დიდებელი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ. #179, კორპ. 14/9, დაბადებული 18.01.1973 წ. პ/ნ 59001022392);
7. **ნინო შავდათუაშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, გორიჯვრის ქ. 39, დაბადებული 26.11.1971 წ.პ/ნ 59001044999);
8. **რევაზ ტეტუნაშვილი** (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, შინდისის 1ა/7. დაბადებული 19.09.1972 წ. პ/ნ 59001039271);

9. ნანა საბანაძე (საქართველოს მოქალაქე, მის: ქ. გორი, თამარ მეფის ქ. #82/15, დაბადებული 08.02.1964 წ. პ/ნ 59002000090);

(შემდგომში ერთობლივად "ასოციაციის წევრები").

წევრთა საერთო კრებას თავმჯდომარეობდა ასოციაციის თავმჯდომარე *მარინე მღებრიშვილი* პ/ნ 59001011066
კრების მონაწილეებმა ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს სხდომის მდივნად: ლია გორელიშვილი პ/ნ 59001037970

კრების თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კრება მოწვეულია ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული წესით და არსებობს წევრთა საერთო კრების ჩატარებისთვის საჭირო კვორუმი და რომ ასოციაციის წევრთა კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. დაცულია კრების მოწვევის პროცედურები, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.
ასოციაციის წევრებს მოსაწვევთან ერთად წინასწარ გასაცნობად გადაეგზავნათ გამოყოფის გეგმა (პროექტი) თანდართული ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-სა და ახალი ორგანიზაციის – ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" -ს სადამფუძნებლო შეთანხმებებისა და წესდებების პროექტები.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი" რეორგანიზაციის, კერძოდ, გაყოფის (*გამოყოფა დაფუძნებით*) დაწყება.

საზოგადოების თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით:
ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი"-ს თავმჯდომარემ მარინე მღებრიშვილმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის განვითარებისთვის და საქმიანობის ეფექტიანობისთვის უკვე სამი წელია იგეგმება „საზოგადოება ბილიკი"-ს რეორგანიზაცია და ორგანიზაციიდან ბავშვზე ზრუნვის მიმართულების ცალკე გამოყოფა, რაზეც მსჯელობდით ორგანიზაციის შიდა შეხვედრებზე და ასევე „საზოგადოება ბილიკი"-ს 2023-2027 წლების სტრატეგიულ გეგმის შემუშავების პროცესში. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის განვითარების მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია საზოგადოების ორ დამოუკიდებელ ა(ა)იპ-ად გაყოფა*(მეწარმეთა შესახებ კანონის 65-ე მუხლის 4(ა) პუნქტის შესაბამისად - გამოყოფა დაფუძნებით)*. გამოყოფის მიზნობრიობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ „საზოგადოება ბილიკი"-ს ამჟამინდელი საქმიანობიდან გამოეყოფა ნაწილობრივ ბავშვთა ზრუნვის მიმართულება - ბავშვზე ზრუნვის პროგრამა და ახლად დაფუძნებულ ასოციაციაში მოხდება გადატანა, მათ შორის, შესაბამისი საქმიანობისთვის საჭირო აქტივების კონცენტრაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შესაბამისი საქმიანობის ეფექტიანობას და მისი კიდევ უფრო დინამიურ განვითარებას და გამოყოფილი აქტივების მართვის გამარტივებას. თავმჯდომარემ კრებას ასევე წარუდგინა გამოყოფის გეგმა და თანმდევი დოკუმენტაცია.

ასოციაციის წევრებმა კრებაზე დავადასტურეთ რომ წინასწარ გავეცანით წარმოდგენილ გამოყოფის გეგმა/პროექტს და განვიხილეთ თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციას დღის წესრიგში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, შევისწავლეთ და განვიხილეთ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები გამოყოფის გეგმასთან დაკავშირებით.

ასოციაციის ერთ ერთმა წევრმა ნინო შავდათუაშვილმა გამოთქვა აზრი გამოყოფის გეგმის დანართი 3-ში მოცემული უძრავი ქონების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთ ერთი უძრავი ქონება დარჩენილიყო „საზოგადოება ბილიკის" საკუთრებაში. ასოციაციის თავმჯდომარემ მარინე მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან უძრავი ქონებები - მდებარე გორში, რუსთველის ქ. 19ა, ს/კ 66.45.25.081 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ატენში, ს/კ 66.60.14.350 უშუალოდ უკავშირდება ბავშვზე ზრუნვის პროგრამას და საქმიანობას, ამიტომ ეს უძრავი აქტივები უნდა გადაეცეს ახალ ორგანიზაციას, ხოლო ქონება, მდებარე გორში, რუსთაველის 28, ს/კ 66.45.25.421 (დამხმარე ფართი ს/კ 66.45.25.420 და მიმდებარე ეზო ს/კ 66.45.25.423) დარჩება „საზოგადოება ბილიკის" საკუთრებაში. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს კრების წევრებმა და დაეთანხმნენ შევიდეს ცვლილება გამოყოფის გეგმის (პროექტის) დანართ 3-ში.

კრებამ იმსჯელა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე საზოგადოების წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც ასოციაციის წევრებმა ერთხმად (ხმათა 100%-ით) მივიღეთ **შემდეგი გადაწყვეტილება:**

1. მოწონებულ იქნას საზოგადოების თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი"-ს დაფუძნებით გამოყოფის საკითხი და გამოყოფის გეგმა (იხ დანართი #1), რომელიც მიზნად ისახავს ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი"-ს საქმიანობის გამიჯვნასა და აქტივების გამოყოფას;
2. **დაიწყოს ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს რეორგანიზაცია – გაყოფის (დაფუძნებით გამოყოფის).** რეორგანიზაციის შედეგად ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს გამოეყოს ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი".**
   - 2.1 გამოყოფის შედეგად ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი" გააგრძელებს არსებობას უწყვეტად, როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებული კოდითა (ს/კ *217889300*) და სარეგისტრაციო მონაცემებით;
   - 2.2 რეორგანიზაციის შედეგად ა(ა)იპ "საზოგადოება ბილიკი"-ს გამოეყოფა ერთი ასოციაცია, საფირმო სახელწოდებით **„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი".** შესაბამისად, რეორგანიზაციის შედეგად იფუნქციონირებს ორი ასოციაცია:
   - 2.3 ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს რეორგანიზაცია – გაყოფის (გამოყოფა დაფუძნების გზით) შედეგად გამოყოფილი სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
   - 2.4 ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს რეორგანიზაცია – გაყოფის (გამოყოფა დაფუძნების გზით) შედეგად გამოყოფილი საზოგადოების სახელწოდებად განისაზღვროს - **„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი".**

3. რეორგანიზაციის (დაფუძნებით გამოყოფის) შედეგად წარმოშობილ გამოყოფილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს, გადაეცემა გაყოფის გეგმაზე დანართი #3-ით განსაზღვრული უძრავ-მოძრავი ქონება;

4. რეორგანიზაციის შედეგად გაყოფილი ორივე საზოგადოება სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი ორგანიზაციის გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის;

5. ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს **რეორგანიზაცია – გაყოფის (გამოყოფა დაფუძნების გზით)** დაწყების შესახებ წინამდებარე საერთო კრების გადაწყვეტილება დარეგისტრირდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ასევე საზოგადოებამ უზრუნველყოს ყველა იმ პროცედურის განხორციელება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს რეორგანიზაციის წარმატებით დასრულების წინაპირობას.

დანართი #1: გაყოფის გეგმა

ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს

თავმჯდომარე
მარინე მღებრიშვილი: _____

სხდომის მდივნი:
ლია გორელიშვილი _____

2024 წლის 14 ივნისი